ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3402892

ნომერი: AR1520027

თარიღი : 04.07.2017

გაცემის თარიღი : 17.07.2017

გაცნობის თარიღი : 17.07.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ფოსტის , N 3/5 / ქალაქი თბილისი , ქუჩა გუთნის , N 7 / ქალაქი თბილისი , გამზირი ქ. წამებულის , N 24 / ქალაქი თბილისი , ქ. წამებულის გამზირი , N24-ის მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე გოცირიძე პ/ნ 01015013316
- თბილისი ჩახრუხაძის ქ. N 25

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 28 ივნისის #1/560 ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 4 ივლისის AR1520027 განცხადებით მომართა ალექსანდრე გოცირიძემ და მოითხოვა სამსახურის 2007 წლის 28 ივნისის №1/560ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანა, ვინაიდან მოხდა მიწის ნაკვეთის წითელი ხაზების ცვლილება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ 2007 წლის 28 ივნისს ქ. თბილისში, ისანი–სამგორის რაიონში,

ქუჩა ფოსტის N 3/5–ში მდებარე მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური (საცხოვრებელი, საოფისე, კომერციული და სხვ.) შენობის ასაშენებლად დადგენილი იქნა #1/560 ქალაქთმშენებლობითი პირობები. აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი გაცემული იქნა მიწის ნაკვეთებზე საკადასტრო კოდით: 01.17.01.124.002 (ფართობი 1960 კვ.მ.) და 01.17.01.124.003 (ფართობი 715 კვ.მ.). ამავე სამსახურის 2015 წლის 31 ივლისის №2043372 ბრძანებით ცვლილება შევიდა აღნიშნულ პირობებში, კერძოდ, დაემატა ახალი ამონაწერი და საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო ერთეული #01.17.01.124.006 ფართობი – 2733 კვ.მ,).
ამის შემდგომ, 2016 წლის 3 მაისის №2573892 ბრძანებით ისევ განხორციელდა ცვლილება, კერძოდ საპროექტო ობიექტს – მრავალფუნქციური (საცხოვრებელი, საოფისე, კომერციული და სხვ.) ფუნქციად დაემატა სასტუმრო.
ამჟამად, განმცხადებელი ითხოვს ხსენებულ პირობებში შევცლილი საკადასტრო მონაცემების დაფიქსირებას, რისი განხორციელებაც დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1) შეტანილ იქნეს ცვლილება 2007 წლის 28 ივნისის #1/560 ქალაქთმშენებლობით პირობებში და დაფიქსირდეს საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი #01.17.01.124.008; ფართობი 2910 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი: 882017521710, რეგისტრაციის თარიღი: 19/06/2017 წ.) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
2) წინამდებარე ბრძანება განხილული იქნეს ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 28 ივნისის #1/560 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად.
3) ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.